ჯგუფი ენერგო-პრო

შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკა

2021

შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკა ("პოლიტიკა")

1. შესავალი

ჩვენი საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა ჰიდროენერგეტიკა. ჩვენ ვაწარმოებთ ჰიდროელექტროსადგურების ოპერირებას ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, შავი ზღვის რეგიონსა და კავკასიაში. ასევე ჩართული ვართ ელექტროენერგიის დისტრიბუციისა და ვაჭრობის სფეროში, ვამუშავებთ მაშტაბურ სადისტრიბუციო ელექტროქსელებს ბულგარეთში და საქართველოში, 2.3 მილიონზე მეტი ელექტროქსელის მომხმარებლით.

ჩვენი კომპანია დაარსდა 1994 წელს ჩეხეთის რესპუბლიკის ქალაქ სვიტავიში. ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ეკონომიკური გარდამავლობის პერიოდში კომპანია მონაწილეობდა ჰიდროელექტრო სექტორის მოდერნიზაციასა და რეაბილიტაციაში. ჩვენი ელექტროსადგურების ჯამური დადგმული სიმძლავრე 1,243 მეგავატია, ხოლო წლიური გენერაცია 3.8 ტერავატ/სთ-ს აღემატება.

მულტინაციონალურ ჯგუფ „ენერგო-პროს“, რომლის სათაო ოფისი გახლავთ ქ. პრაღაში, ერთ-ერთი კომპონენტია წყლის ტურბინების მწარმოებელი სლოვენური კომპანია Litostroj Power d.o.o., რომელიც ახორციელებს მნიშვნელოვან პროექტებს 60-ზე მეტ ქვეყანაში მსოფლიოს მასშტაბით. ჩეხეთის რესპუბლიკაში რეგისტრირებული მისი შვილობილი კომპანია Litostroj Engineering a.s. (ყოფილი ČKD Blansko Engineering, a.s.) ორიენტირებულია კვლევით, დაპროექტების და საინჟინრო სამუშაოებზე. Litostroj Group ასევე აწვდის ჰიდროელექტროსადგურების მოწყობილობებს, მათ შორის ტუმბურ ჰიდროსადგურებს და სატუმბ სადგურებს.

''ენერგო-პრო'' მოწოდებულია დაიცვას თანამშრომლების, კონტრაქტორების, ვიზიტორების და ჩვენი საქმიანობის შედეგად დაზარალებული საზოგადოების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება. უსაფრთხოება აუცილებელია ჩვენი ბიზნესის წარმატებისთვის და ამ პოლიტიკისა და კონკრეტული ქმედებების მეშვეობით, ჩვენ ვცდილობთ თანამშრომლების მოტივირებას, რათა ისინი მეტი სიფრთხილით მოეკიდნონ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხებს. ჩვენი მიზანია შევქმნათ უსაფრთხოების კულტურა ყველა ობიექტზე. ''ენერგო-პრო” მოითხოვს, რომ ყველა თანამშრომელმა, ვიზიტორმა, კონტრაქტორმა და ქვეკონტრაქტორმა დაიცვას ეს პოლიტიკა.

2. მიზნები

ამ პოლიტიკის მიზნებია:

- დასაქმებულთა, კონტრაქტორთა და ვიზიტორთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პირობების დაცვა და გაუმჯობესება სამუშაო ადგილებზე;
- ოპერაციების შედეგად დაზარალებული საზოგადოების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვა;
- მიმართულების მიცემა და მენეჯმენტისა და თანამშრომელთა ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა;
- ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების კულტურის შექმნა ყველა ობიექტზე და ოფისში. თანამშრომლების, კონტრაქტორების, ვიზიტორების ან ნებისმიერის ვინც შეიძლება დაზარალდეს ჩვენი საქმიანობის შედეგად ჯანმრთელობასთან, უსაფრთხოებასთან და კეთილდღეობასთან დაკავშირებული რისკების გამორიცხვა ან მინიმუმამდე დაყვანა.

3. ვალდებულება

ჩვენ ვცდილობთ შევინარჩუნოთ და გავაუმჯობესოთ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების კულტურა. ჩვენი მიზნების მისაღწევად:

- ჩვენ გამოვიყენებთ ნულოვანი ინციდენტის კულტურას ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მიმართულებით და თავიდან ავიცილებთ ან / და შევამცირებთ პერსონალისა და ქონების ზიანს.
- ჩვენ მოვამზადებთ და განვახორციელებთ შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის (OHS) გეგმებს ჩვენს ყველა ობიექტზე.
- ჩავატარებთ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკების რეგულარულ შეფასებას, მათ შორის საზოგადოებისთვის საშიში რისკების.
- შევისწავლით ყველა შემთხვევას და მივიღებთ მათ გამოსასწორებელ ზომებს.
- განვავითარებთ და განვახორციელებთ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვის სისტემებს ყველა ჩვენს სამშენებლო და საექსპლუატაციო ობიექტზე.
- ვუზრუნველყოფთ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხების უწყვეტ გაუმჯობესებას.
- ავამაღლებთ ცნობიერებას ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მიმართულებით და ასევე უზრუნველვყოფთ შესაბამის ტრეინინგებს და მონიტორინგს.
- ვიმოქმედებთ შესაბამისი კანონმდებლობისა და კარგი საერთაშორისო სამეწარმეო პრაქტიკის (GIIP) ნორმების დაცვით.
- ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხების მართვის მიზნით, თანამდებობაზე დავნიშნავთ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალს.
- რეგულარულად განვიხილავთ ორგანიზაციულ პოლიტიკას, გეგმებსა და პროცედურებს.

4. მოთხოვნები

ჯგუფის თითოეული თანამშრომელი, თავისი ყოველდღიური საქმიანობით, პროფესიონალიზმით და ინიციატივით, წარმოადგენს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პოლიტიკის მთავარ მოთამაშეს, სადაც ძირითადი მიზანია ნულოვანი ზიანისა და ფატალური შედეგების მიღწევა, რომლებიც ხდება პროდუქტიული სამუშაო დროის დაკარგვის მიზეზი. უბედური შემთხვევების უმეტესობის თავიდან აცილება შესაძლებელია და ისინი გამოწვეულია ადამიანური შეცდომებით. ჩვენ შევქმნით უსაფრთხო სამუშაო გარემოს, რომლის მიზანი იქნება ნულოვანი ზიანის მიყენება ანგარიშვალდებულების, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ინდივიდუალური პასუხისმგებლობის, კარგი მმართველობის, შესაბამისი მიზნობრივი ტრენინგებისა და რისკის მინიმიზაციის გზით რაიმე საქმიანობის დაწყებამდე, რომლის დროსაც თანამშრომლები შესაძლოა აღმოჩდნენ საფრთხის შემცველ გარემოში. ამ პოლიტიკის სპეციფიკური მოთხოვნებია:

I. ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მენეჯმენტი

მართვის მაღალი ეშელონების წარმომადგენლები პასუხისმგებელი იქნებიან ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მენეჯმენტის სისტემების (HSMS) სრულად ფუნქციონირებაზე, ყველა საჭირო გეგმისა და პროცედურის ჩათვლით, რომ შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის გეგმები და HS- ის მუშაობის ინდიკატორები, შეესაბამება ESG / მდგრადობის ანგარიშგების მოთხოვნებს და ასევე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების (HS) პერსონალის შესაბამის კვალიფიკაციას.

II. ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების კულტურა

მართვის მაღალი ეშელონების წარმომადგენლები უზრუნველყოფენ სამუშაო ადგილებზე ''ნულოვანი ზიანის'' კულტურის დანერგვას, რათა მოხდეს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკების აღმოფხვრა და უსაფრთხო პრაქტიკის დანერგვა როგორც სამუშაო ადგილზე, ასევე მაშინ როცა დასაქმებული დაუბრუნდება სახლის პირობებს.

III. კარგი საერთაშორისო სამეწარმეო პრაქტიკის და სამართლებრივი მოთხოვნები

- კარგი საერთაშორისო სამეწარმეო პრაქტიკის შესაბამისად, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ადეკვატური ექსპლუატაციის წესების შემუშავება.
- სამართლებრივი მოთხოვნების შესრულება და ყველა პროცედურისა და ნებართვის შესაბამისობის უზრუნველყოფა ქვეყნის სპეციფიკურ იურიდიულ მოთხოვნებთან.
- ყველა ობიექტი მოამზადებს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკის შეფასების, საფრთხის იდენტიფიკაციისა და მენეჯმენტის, ინციდენტის შესახებ შეტყობინების, შეუსაბამობის ანგარიშებს (NCR) და საგანგებო სიტუაციების მზადყოფნისა და მათზე რეაგირების გეგმებს (EPRP).

IV. კონტრაქტორის მენეჯმენტი

- ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მენეჯმენტი ყოველთვის უნდა იქნას გათვალისწინებული მიმწოდებლისა და კონტრაქტორის შერჩევის პროცესში. მოთხოვნები, რომლებიც უნდა შესრულდეს, მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული ხელშეკრულებებში.
- კონტრაქტორებს და სხვა მესამე მხარეს, რომლებიც შედიან ობიექტზე გავლილი უნდა ქონდეთ სათანადო მომზადება და პროცედურები და უნდა გააჩნდეთ შესაბამისი დოკუმენტაცია. ასევე თავიანთი ამოცანების უსაფრთხოდ შესრულებისთვის სათანადოდ უნდა იყვნენ აღჭურვილები.
- კონტრაქტორებმა უნდა დაიცვან ჯგუფის ყველა მოქმედი წესები და პროცედურები როცა იმყოფებიან „ენერგო- პრო'' -ს მიერ მართულ ობიექტზე.

V. პასუხისმგებლობა

- მართვის მაღალი ეშელონების წარმომადგენლებმა უნდა შეძლონ იმის დემონსტრირება, რომ მათ გააჩნიათ საკმარისი ფინანსური და ადამიანური რესურსები ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მენეჯმენტის სისტემების განსახორციელებლად და შესანარჩუნებლად.
- მენეჯმენტი, მენეჯერების, ზედამხედველებისა და ობიექტის მენეჯერების ჩათვლით, პასუხისმგებელნი არიან შრომით ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოებაზე.
- მუშაკები პასუხისმგებელნი არიან:

1. სამუშაო ადგილზე მათი პირადი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე.

2. ხელმძღვანელობის მიერ მოცემული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მითითებების დაცვაზე, როგორიცაა უსაფრთხო სამუშაო პროცედურები და პირადი დამცავი აღჭურვილობის ტარება.

3. იდეების, წინადადებების ან დაკვირვების ხელშეწყობაზე შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის უწყვეტი გაუმჯობესების მიზნით.

- ჯანმრთელობის და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით უნდა დაინიშნოს რეგულარული შეხვედრები, მათ შორის კონტრაქტორებთან შეხვედრები;
- მოხდება ყველა წარმოებაზე მომხდარი ინციდენტის გადაცემა და გამოკვლევა, რათა მოხდეს ძირეული მიზეზების დადგენა, პრობლემების გამოსასწორებელი მოქმედებების დაგეგმვა და მიღებული გაკვეთილის გაანალიზება;
- ყველა ობიექტი შეაფასებს საზოგადოების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას და საჭიროების შემთხვევაში აამოქმედებს კონტროლის მექანიზმებს.

VI. განათლება

- მართვის მაღალი ეშელონების წარმომადგენლებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ყველა ადამიანი, ვინც ასრულებს დავალებებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ შრომის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობაზე (OHS), სათანადოდ იყოს მომზადებული დავალების შესასრულებლად.
- მართვის მაღალი ეშელონების წარმომადგენლები უზრუნველყოფენ, რომ ყველა ობიექტს ჰქონდეს ადეკვატური შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის საკითხებთან დაკავშირებული სასწავლო ბროგრამები, რათა მოხდეს მათი საჭიროებისამებრ მიწოდება.

VII. მონიტორინგი

- მართვის მაღალი ეშელონების წარმომადგენლები უზრუნველყოფენ, რომ ყველა ობიექტზე რეგულარულად მოხდეს შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის პროცედურების მონიტორინგი და შეფასება.
- პროცედურები მოიცავს მონაცემების აღრიცხვას, ანგარიშგებას, პრევენციულ ზომებს, რომლებიც დაფუძნებულია მონიტორინგზე, ინციდენტებზე (უბედური შემთხვევების, შეუსაბამობის ანგარიშების და საგანგებო სიტუაციების ჩათვლით). მნიშვნელოვანია ისტორიული მონაცემების შენახვა შესრულებული სამუშაოს შესაფასებლად და შემდგომი პროფილაქტიკური ღონისძიებების ხელშესაწყობად.
- მონიტორინგი გულისხმობს თითოეული ობიექტისთვის დადგენილი მიზნებისა და ამოცანების შესრულებას.
- მართვის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს ჯგუფის მისწრაფებას მუდმივი გაუმჯობესებისაკენ და უნდა შეიცავდეს გადაწყვეტილებებსა და მოქმედებებს, რომლებიც დაკავშირებულია ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პოლიტიკის შესაძლო ცვლილებებთან, შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემების მუშაობასთან, რესურსებთან და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემების სხვა ელემენტებთან.

VIII. კომუნიკაცია

მართვის მაღალი ეშელონების წარმომადგენლები უზრუნველყოფენ, რომ ყველა თანამშრომელს და კონტრაქტორს ჰქონდეს წვდომა ამ პოლიტიკაზე და რომ მათ სწორედ გაიგონ მისი არსი.

5. გავრცელების ზონა

ეს დოკუმენტი ხელმისაწვდომია კომპანიის ვებ-გვერდზე. იგი შეიცავს სტანდარტულ ბიზნეს წესებსა და პირობებს, რომელთა გადახედვა შეიძლება მოხდეს კომპანიის ხელმძღვანელების, მენეჯმენტის, თანამშრომლების, კონტრაქტორებმის და ქვეკონტრაქტორების მიერ. ეს პოლიტიკა განიხილება რეგულარულად და განახლდება საჭიროების შემთხვევაში, პარტნიორებისა და დაინტერესებული მხარეების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, პერიოდული, სისტემური და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის შიდა აუდიტის ჩატარებით.

6. ძალაში შესვლა

პოლიტიკის ეს ვერსია ძალაშია 2021 წლის 15 ივლისიდან.